



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკოლოზ არავიაშვილი

პატიმრობის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში უცხოური
და ქართული სამართლის მიხედვით

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : მალხაზ ლომსაძე,
პროფესორი

გორი
2020

ანოტაცია

სისხლის სამართლის პროცესის მიზანია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან კონფლიქტში მყოფი პირებისათვის შესაბამისი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, შემცირება ანდა გაუქმება და სხვა.

ნაშრომი „პატიმრობის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში უცხოური და ქართული სამართლის მიხედვით“ შედგება სამი თავისაგან.

აღსანიშნავია, რომ პატიმრობის შეფარდებისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბრალდებულის მდგომარეობა, კერძოდ მის ან/და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა, შემოსავლები, ბრალდებულის და მისი ოჯახის წევრების ასაკი და სხვა. თუმცა მიუხედავად მისი მდგომარეობისა, თუ თუ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით, ვერ იქნება უზრუნველყოფილი კანონის მიზანი, მის მიმართ გამოყენებული იქნება პატიმრობა.

აღსანიშნავია, რომ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთი ღონისძიების მიზანშეწონილობის საკითხი. ანუ მან უნდა ახსნას რატომ ითხოვს მაგალითად დაპატიმრებას და არა სხვა უფრო მსუბუქ აღკვეთის ღონისძიების სახეს.

შუამდგომლობა გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი შუამდგომლობის სასამართლოში შეტანიდან 24 საათის განმავლობაში. ანუ 24 საათის დასრულებისას უკვე უნდა იყოს განხილული შუამდგომლობა და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებული უნდა განთავისუფლდეს.

Annotation

N. Araviashvili

The Use of Detention in Criminal Proceedings under Foreign and Georgian Law

The purpose of criminal proceedings is to protect the constitutional rights and freedoms of citizens. As well as the imposition, reduction or abolition of appropriate preventive measures for persons in conflict with criminal law, and so on.

The paper, The Use of Detention in Criminal Proceedings under Foreign and Georgian Law, consists of three chapters.

It should be noted that the detention of the accused must take into account the condition of the accused, in particular the health status of him and / or his family members, income, age of the accused and his family members, etc. However, regardless of his condition, if the purpose of the law cannot be achieved by applying a less severe measure of restraint, imprisonment will be applied to him.

It should be noted that when filing a motion, the prosecutor must substantiate the issue of the expediency of the preventive measure. That is, he should explain why he is asking for an arrest, for example, and not some other lighter measure of restraint.

The third chapter of the paper discusses the use of detention in foreign criminal law.

სარჩევი

თავი 1. პატიმრობის გამოყენების მიზნები და სამართლებრივი

საფუძვლები 7

1.1 პატიმრობის გამოყენების მიზნები.....	7
1.2 პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი და მატერიალური საფუძვლები.....	11
1.3 პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძვლები.....	12
1.4 ბრალდებულის მიმალვის შედეგები.....	15
1.5 მტკიცებულებათა მოპოვებაში ბრალდებულის მიერ ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.....	18
თავი 2. სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციები და მოვალეობები.....	21
2.1. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.....	21
2.2 დაპატიმრების ვადები.....	22
2.3 დაპატიმრების, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ეფექტურობის პრობლემა	27
თავი 3. პატიმრობის გამოყენება საზღვარგარეთის სისხლის სამართალში.....	34
3.1 რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, პრობლემები და ხარვეზები.....	34
3.2 აღკვეთის ღონისძიების გახანგრძლივება, შეცვლა და გაუქმება რუსეთის კანონმდებლობით.....	37

შესავალი

კვლევის აქტუალობა: ნაშრომი, პატიმრობის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში უცხოური და ქართული სამართლის მიხედვით, ძალიან აქტუალური საკითხია, რადგან ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენება ძალიან სერიოზული საკითხია. შესაბამისად, ვიდრე პროკურორი მოითხოვს მის გამოყენებას და სასამართლო პროკურორის მოთხოვნას დააკმაყოფილებს აუცილებლად უნდა მოხდეს მრავალი ფაქტორის გათვალისწინება, მათ შორის აუცილებლად უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა მიმალვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ასევე, მოწმეზე ზემოქმედების, მტკიცებულების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე. ყოველივე ამის დასადგენად სამართალდამცავ ორგანოებს საკმაოდ დიდი სამუშაოს ჩატარება უწევთ. გასათვალისწინებელია დროის ფაქტორიც, რადგან ინფორმაციის მოძიებას სჭირდება დრო, დრო რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით შეზღუდულია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება არაკანონიერად მოხდება.

მიუხედავად იმისა , რომ კანონმდებელი მოითხოვს პროკურორის მიერ შუამდგომლობის დასაბუთებას, მაინც ხშირია შემთხვევა, როდესაც დაუსაბუთებელი შუამდგომლობის მიმართვის შემთხვევაშიც კი მოსამართლე აკმაყოფილებს მას. ეს კი ძალიან დიდი პრობლემაა.

კვლევის მიზანი: წინამდებარე კვლევის მიზანია სისხლის სამართლის პროცესში პატიმრობის გამოყენების ფაქტორების შესწავლა, ასევე არსებული პრობლემების წარმოჩენა და შესაბამისი ანალიზი.

კვლევის ამოცანა: წინამდებარე კვლევის ამოცანად განისაზღვრა:

- საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესწავლა.

- საქართველოს კანონმდებლობაში პატიმრობის გამოყენების კუთხით არსებული პრობლემების ანალიზი.

- პრაქტიკაში არსებული პრობლემების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების წარმოჩენა.

კვლევის მეთოდოლოგია: აღნიშნული საკითხების კვლევა, მოითხოვს საკითხის საფუძვლიან შესწავლას, როგორც თეორიის ასევე პრაქტიკის ზედმიწევნით ანალიზს.

კვლევის მეთოდად შერჩულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდები. უპირველეს ყოვლისა განხორციელდა საკვლევ საკითხზე არსებული ლიტერატურის ანალიზი კვლევის შედარებითი და ისტორიული ანალიზის მეთოდებით.

თვისობრივი მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა, კვლევისას დაფიქსირდეს ისეთი ნიუანსები, რაც სხვა ტიპის კვლევისას შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს. თვისობრივი მეთოდების მეშვეობით შესაძლებელია უფრო ღრმა ცოდნას მიღება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

თვისობრივი კვლევისას არა მხოლოდ ვაფიქსირებთ, პატიმრობის გამოყენებისათვის შესაბამისი ფაქტორების არსებობის შესახებ მოსაზრებებს, არამედ არსებული ვითარების ახსნასაც ვცდილობთ.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. შემუშავებული სამეცნიერო დებულებები ხელს უწყობს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების ინსტიტუტის პრობლემებისა და სადავო საკითხების გადაწყვეტას, ასევე სამეცნიერო და გამოყენებითი პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც აუცილებელია სისხლის სამართლის პროცესისთვის.

ნაშრომის შედეგების გამოყენება შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ასევე მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგანმანათლებლო პროცესში.

თავი 1. პატიმრობის გამოყენების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები

1.1 პატიმრობის გამოყენების მიზნები

როდესაც არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს, ხელი შეუშალოს გამოძიებას ან ჩაიდინოს ახალი დანაშაული, მის მიმართ გამოყენებული იქნება სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომა - პატიმრობა.

პატიმრობის შეფარდებისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბრალდებულის მდგომარეობა, კერძოდ მის ან/და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა, შემოსავლები, ბრალდებულის და მისი ოჯახის წევრების ასაკი და სხვა. თუმცა მიუხედავად მისი მდგომარეობისა, თუ თუ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით, ვერ იქნება უზრუნველყოფილი კანონის მიზანი, მის მიმართ გამოყენებული იქნება პატიმრობა.

რაც შეეხება პატიმრობის გამოყენების მიზნებს, მოცემულია სსსკ-ის 38-ე მუხლის მე 12 ნაწილში, როლის თანახმადაც: „ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს:¹

- მისი მიმალვის,
- შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის,
- მოწმეზე ზემოქმედების,
- მტკიცებულების განადგურების ან
- განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე.“

პატიმრობის მიზნებთან დაკავშირებით აღსანიშნავია სსსკ-ის 205-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:²

¹ სსსხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38 ნაწილი 12.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>

² სსსხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 201 ნაწილი 1.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>

- ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

- ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;

- ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“

აღნიშნული გარემოებებიდან ერთის არსებობის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია პატიმრობის გამოყენება ბრალდებულის მიმართ. ამასთანავე აღსანიშნავია სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი: „დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.“³

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილიში კი აღნიშნულია, რომ : „ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა.“⁴

როგორც ზემოთ აიღნიშნა, ბრალდებულისათვის პატიმრობის გამოყენების საფუძველია იმის საშიშროება / ვარაუდი, რომ შეიძლება მან დანაშაული ჩაიდინოს, თუმცა ამასთან დაკავშირებით ი. გაბისონია აღნიშნავს და საკმაოდ სამართლიანადაც:“ ვინ რა მოქმედებას განახორციელებს მომავალში ამის წინასწარ უტყუარად დადგენა შეუძლებელია.“⁵

³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3 ნაწილი 11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>

⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 198 ნაწილი 3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>

⁵ იხ. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ. 16

ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.“⁶

როგორც ვხედავთ ევროპული კონვენცია, იმ შემთხვევაში თუ ბრალდებული იძლევა პროცესზე დაბრუნების გარანტიას, უპირატესობას მის გათავისუფლებას ანიჭებს. ხოლო თუ მას მაინც შეუფარდებენ პატიმრობას, აუცილებლად უნდა მოხდეს დასაბუთება იმისა, თუ რატომ არ შეეფარდა უფრო მსუბუქი სასჯელი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა,⁷ რომ როდესაც არსებობს ბრალდებულისთვის სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდების საშუალება, მას არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა ეროვნული სასამართლოების მიერ. სხვა საქმეზე, ასევე განმარტა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ პატიმრობის ალტერნატიულ ზომებს.⁸

საქართველოს კანონმდებლობით პატიმრობის ალტერნატიული სასჯელებია:

- გირაო, პირადი თავდებობა,
- შეთანხმება გაუსვლელობის შესახებ
- სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა,
- შეთანხმება სათანადო ქცევის შესახებ.

⁶ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

⁷ Buzadji v. Republic of Moldova - 23755/07; 05.07.2016. [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

⁸ Stogmuller v. Austria. საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა. ნ. მჭედლიძე, თბ., 2017, გვ. 48.

ისევე როგორც პატიმრობის მიზანი სხვა აღკვეთი ღონისძიების მიზანიც ის არის, რომ ბრალდებულის მხრიდან აღკვეთოს ახალი დანაშაულის ჩადენა. თუ შერჩეული აღკვეთი ღონისძიებით ეს მიზანი არ მიიღწევა, მაშინ აზრი არ აქვს მის შეფარდებას და პირს უნდა შეფარდოს პატიმრობა.

გარდა ამისა შესაძლოა პირს შეეფარდოს არასაპატიმრო სასჯელი, მაგრამ მან ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ამ შემთხვევაში ფაქტია, რომ კანონის მიზანი მიუღწეველია და მისი არასაპატიმრო სასჯელი შეიცვლება პატიმრობით.⁹ თუმცა, ერთ საქმეზე მოსამართლემ მიიჩნია, რომ არასაპატიმრო სასჯელ შეფარდებულ პირს დანაშაული, რომელზეც ედავებოდნენ ჩადენილი ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებამდე, ამიტომ მის მიმართ პატიმრობა არ გამოიყენა.¹⁰

პატიმრობა ყველაზე მკაცრი ზემოქმედების ღონისძიებაა, სწორედ ამიტომ ის სასჯელის მოხდის ვადაში ითვლება. მაგრამ რადგან სასამართლოს კანონიერ განაჩენამდე შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ პირმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, მისთვის პატიმრობის შეთავსება და იმ პირობებში განთავსება სადაც დამნაშავეები იმყოფებიან, მისი უფლებების დარღვევაა.

პატიმრობის საგამონაკლისოდ გამოყენებაზე მიუთითებს სსსკ მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც: „უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.“¹¹

აღსანიშნავია, რომ შეიძლება არსებობდეს ბრალდებულის მიმალვის რეალური ვარაუდი, მაგრამ სასამართლოს მაინც არ გამოიყენოს მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა.

ამასთან დაკვირვებით საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, როდესაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, რომელსაც შეეძლო გადასულიყო მისი მოქალაქეობის მეორე ქვეყანაში და მიმალულიყო, არ შეუფარდა პატიმრობა, მას

⁹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ., 2017, გვ. 258

¹⁰ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 1/გ566-17 განჩინება

¹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 6 ნაწილი 3.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>

შეუფარდა გირაო და ასევე მოითხოვა, რომ პასპორტი და პირადობის მოწმობა ჩაებარებინა საგამომიებო ორგანოებისათვის.¹²

ამრიგად, სასამართლო ყველა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით ვალდებულია განჩინება სრულყოფილად დაასაბუთოს და მიუთითოს ყველა ის გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო პატიმრობის გამოყენებას.¹³

1.2 პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი და მატერიალური საფუძვლები

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს პროკურორის შესაბამის შუამდგომლობაზე დართული მასალები, რომლებიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ პირმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული. გარდა ამისა, აუცილებელია აღკვეთი ღონისძიების შეფარდებისათვის ფორმალური საფუძვლის არსებობაც, კერძოდ მტკიცებულებები, რომლებიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ბრალდებული ხელს შეუშლის გამოძიებას, მიიმალება ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

პატიმრობის შეფარდებისას აუცილებელია, როგორც მატერიალური, ისე ფორმალური საფუძვლების მტკიცება / დასაბუთება. სსსკ-ის მე-3 მუხლის შესაბამისად: „დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების

¹² იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 სექტემბრის N 10/დ-535/18 განჩინება.

¹³ იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 22

გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.¹⁴ როგორც ვხედავთ აღნიშნული მუხლი, პატიმრობის და სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაშიც ერთიან მტკიცებით სტანდარტს აწესებს.

მაგრამ პატიმრობის გამოყენებისას ფორმალური და მატერიალური საფუძვლები უნდა იყოს იმაზე მეტად დასაბუთებული ვიდრე სხვა სასჯელის შეფარდებისას.

„დასაბუთებულ ვარაუდს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გვაძლევს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთობლიობა, სადაც მაქსიმალურად უნდა იყოს წარმოჩენილი ფაქტები და ინფორმაცია, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ შესაძლოა არსებობდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველი მაინც.“¹⁵

პატიმრობის გამოყენების მატერიალური საფუძველი

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ცდენის შესახებ და დადგენილია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები, რაც ხელს უწყობს ობიექტურად შეფასდეს ბრალდებულის საშიშროება, მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლის მიზნით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დასაბუთებულად პროგნოზირება.“¹⁶

1.3 პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძვლები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად: „შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების

¹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 11.

¹⁵ ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2012. გვ. 50.

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტ. თბ., 2015, გვ. 558.

გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.¹⁷

აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად ფორმალურ საფუძვლებზე საუბარია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლშია, თუმცა მისი დეფინიციას მოცემული არ არის.

როგორც ზემოთ წარმოდგენილ მუხლის ციტირებაში ჩანს სიტყვა ფორმალურის გვერდით ფრჩხილში მოთავსებულია სიტყვა საპროცესო. მხოლოდ ფორმალურის მითითებაც საკმარისი იქნებოდა იმის მისახვედრად, რომ საუბარია წმინდა საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაზე.¹⁸

მოსამართლის მიერ საპროცესო საფუძვლების შემოწმებაში იგულისხმება ის, რომ არის თუ არა დადასტურებული კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საჭირო მიზეზები, აქ საუბარია იმ მიზეზებზე, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე და 205-ე მუხლების პირველ ნაწილებშია მოცემული.

აქვე აღსანიშნავია ის განსხვავება რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე და 205 -ე მუხლებს არის:

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი - პროკურორის მიერ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ის ითხოვს არასაკატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი - გამოიყენება იმ შემთხვევაში და შესაბამისად მასში არსებული ფორმალური საფუძვლების დასაბუთება საჭიროა პროკურორის მიერ მაშინ, როცა ის აღკვეთის ღონისძიებად ითხოვს პატიმრობის გამოყენებას.

აღკვეთი ღონისძიების მიზნობრიობას შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც:

¹⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 09/10/2009.

¹⁸ ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ. 36

„აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.“

ერთ-ერთ ფორმალურ საფუძველს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება განაჩენის უზრუნველყოფის აღსასრულებლად იმიტომ გამოიყენება, რომ ხელი შეეშალოს მას იმ მოქმედებათა განხორციელებაში, რამაც შესაძლოა განაჩენის აღსრულებას შეუშალოს ხელი. თუმცა, კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს რა შეიძლება იგულისხმებოდეს ხელის შეშლაში.

აღნიშნული მუხლი პრაქტიკაში ძალიან აქტუალურია, რადგან პრაქტიკაში ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ბრალდებული განაჩენის აღსრულებას მიმალვით უშლის ხელს.

აღსანიშნავია, რომ განაჩენით მხოლოდ პირის დამნაშავედ ცნობა არ ხდება, ასევე არც მხოლოდ სასჯელის დანიშვნასთან გვაქვს საქმე. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის დადგომის შემდგომ, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების ბედი უნდა გადაწყდეს.

იმ შემთხვევაში თუ ნივთი სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანია და გამოძიებისას ამოღებული იყო დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და შესაბამისად დაცვის მხარის მტკიცებულებას წარმოადგენდა, შესაძლოა განაჩენის აღსრულების მიზნის უზრუნველყოფა ბრალდებულისგან ამ ნივთიერი მტკიცებულების სხვა პირისათვის გადაცემის ხელი შეშლის აღკვეთას გულისხმობდეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი მაგალითი, გამოძიებისას ბრალდებულმა გაიგო, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებდა მისი თანამზრახველი, კონკრეტულად კი მას სურდა, რომ გამოძიებლისათვის მათ მიერ დაუფლებული ქონების ადგილსამყოფელი გაემხილა. ამ დროს კი ბრალდებულმა

ადვოკატს მისცა ჩვენება და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთების ადგილსამყოფელიც გაუმხილა. ადვოკატმა კი ვითომ გამოძიებასთან თანამშრომლობის ფარგლებში შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რათა მათ საშუალება მისცემოდათ ფარულად დაუფლებული ნივთების დაუფლების. რეალურად, ამ მოქმედების მიზანი ის იყო, რომ ნივთების ამოღება დაესწროთ ბრალდების მხარისათვის. დასწრების მიზანი კი შესაძლოა ნივთებზე საქმისათვის მნიშვნელოვანი კვალის წაშლა იყოს.

1.4 ბრალდებულის მიმალვის შედეგები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული მუხლები კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას. პატიმრობის გამოყენება საჭიროს ბრალდებულის მიმალვის თავიდან ასაცილებლად, ასევე იმ მიზნით, რომ მან ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას.

თუ ბრალდებული მიმალვის მიზნით გადავა სხვა სახელმწიფოში, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს წაერთმევათ სამკებრო ღონისძიებების საზღვარგარეთ განახორციელების შესაძლებლობა და შესაბამისად მას ვერ წარადგენენ სასამართლოში.

გარდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიმალვისა, ასევე შეიძლება ბრალდებული საქართველოს ტერიტორიაზეც მიიმალოს. ორივე შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებას შეეშლება ხელი და აღუსრულებელი დარჩება სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

საინტერესოა, როგორ შეიძლება იმის დადასტურება, რომ ბრალდებული შეეცდება სასჯელისათვის თავის არიდებას?! ეს რა თქმა უნდა ყველა კონკრეტულ

შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, მაგრამ ივარაუდება, რომ ის კვლავ შეეცდება მოსალოდნელი სასჯელისათვის თავის არიდებას, თუ:

- ბრალის წაყენების შემდეგ პირი შეეცდება საზღვრის გადაკვეთას,
- დაკავებისას შეეცადა გაქცევას,
- არსებობს მიმალვის გეგმის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები,
- სხვა ან იმავე საქმეზე მისთვის შერჩეული ღონისძიების დარღვევა.
- ძებნაში ყოფნა,
- საპატიო მიზეზის არქონისას გამოუცხადებლობა და სხვა.¹⁹

ზოგადად, შესაძლებელია, რომ ბრალდებული სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებას არიდებდეს თავს, მაგრამ მიმალვა და თავის არიდება სხვადასხვა განზომილებაა. თუ თავის არიდებისას პირი უბრალოდ არ ცხადდება სამართალდამცავ ორგანოში, მიმალვისას ის იცვლის საცხოვრებელ ადგილს და ამის შესახებ ინფორმაციას არ აწვდის შესაბამის ორგანოებს. პირის პატიმრობაში დატოვების წინაპირობა არის მიმალვა და არა თავის არიდება.²⁰

აუცილებლად უნდა გაირკვეს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ აღმოჩნდება, რომ პირი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება შესაბამის ორგანოში, სავარაუდოა, რომ სასამართლო სხდომაზეც არ გამოცხადდება. თუმცა თუ პირი წარმოადგენს ცნობებს, რომელიც მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს დაადასტურებს, იმის ვარაუდი, რომ იგი თავს აარიდებს გამოძიებას ან მიიმალევა არარელევანტულია.²¹

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იმის მტკიცება, რომ მიმალვის საფრთხე აბსტრაქტულად არსებობს არასერიოზულია. მიმალვის საფრთხის დასადასტურებლად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების და წინაპირობების არსებობა. ასევე, მიმალვის საფრთხის შეფასებისას აუცილებლად უნდა მოხდეს პიროვნების ხასიათის გათვალისწინება და მოსალოდნელი სასჯელი რა სახის ზეგავლენას მოახდენს მასზე.

¹⁹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 263-264.

²⁰ ი. გაბისონია, ადვოკატის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ.65.

²¹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 264.

მიმალვის საფრთხის გამოსარიცხად, ასევე გასათვალისწინებელია ბრალდებულის:

- ფინანსური მდგომარეობა,
- მის სახელზე რეგისტრირებული მოძრავი და უძრავი ქონება.
- ოჯახური მდგომარეობა,
- სამეგობრო და სხვა კავშირები;
- კავშირები საზღვარგარეთ;
- მოსალოდნელი სასჯელის ხასიათი ა.შ.²²

ასევე გასათვალისწინებელია, რომ გამოძიების დაწყების შემდეგ ბრალდებულის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა მისი მიმალვის უპირობო დამადასტურებელ გარემოებად არ უნდა მივიჩნიოთ, რა თქმა უნდა თუ არ დადასტურდება, რომ მისი მიზანი სწორედ მიმალვაა.

მაგრამ თუ იგი საზღვრის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ კვეთს, ამ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ მისი მიზანი შესაძლოა მიმალვა იყოს.

მიმალვის საფრთხის გამოსარიცხად, გარდა ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა, ასევე მნიშვნელოვანია:

- ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება.
- საზღვარგარეთის პასპორტის ქონა,
- საზღვარგარეთ კონტაქტების ქონა,
- ტრანსპორტირების შესაძლებლობა, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გზით.²³

არალეგალური გზით.²³

საფრთხეების გამო პირის პატიმრობაში დატოვება შესაძლებელია არა მოსალოდნელი საფრთხის გამო, არამედ აუცილებელია დადასტურება, რომ საფრთხე რეალურია.

²² ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2012.გვ. 48

²³ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 267.

1.5 მტკიცებულებათა მოპოვებაში ბრალდებულის მიერ ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა

მტკიცებულებათა მოპოვებაში ბრალდებულის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ხელის შეშლა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობაა.

მას შემდეგ, რაც ბრალდებული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემა, გამოძიება კვლავ გრძელდება წინასამართლო სხდომამდე, სწორედ ამ დროს შესაძლებელია, ბრალდებულის დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვება. აღნიშნული მტკიცებულებები შესაძლოა ბრალდებულის მიერ განადგურდეს ან გადაიმალოს. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ბრალდებულმა ზემოქმედება მოახდინოს იმ პირებზე, რომელთაც საქმესთან შემხებლობა აქვთ და შესაძლოა დაიკითხონ მოწმედ.

ზემოქმედების მოხდენა ბრალდებულს სხვადასხვა გზით შეუძლია, ეს შეიძლება გამოიხატოს:

- მოსყიდვაში,
- მატერიალურად ან სხვაგვარად დაინტერესებაში,
- მუქარაში,
- შანტაჟში და სხვ.²⁴

ისევე, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, აქაც დაუშვებელია მხოლოდ აბსტრაქტული საშიშროების გამო პირის პატიმრობაში დატოვება ანუ აუცილებელია იმის დადასტურება, რომ ნამდვილად არსებობს მისი მხრიდან მტკიცებულებების განადგურების ანგადამალვის საშიშროება. აღნიშნულის დადასტურება შესაძლებელია, ბრალდებულის მოქმედებით, კერძოდ შესაძლებელია, რომ იგი შეეცადა დანაშაულის ადგილის გასუფთავებას, კვალის წაშლას, ტანსაცმლის და სხვა ნივთების განადგურებას, იარაღის გადამალვას და სხვა.

²⁴ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 271.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ სწორედ ბრალდებულს ის პირი, რომელსაც დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მოუწევს სასჯელის მოხდა, ამიტომ სწორედ ის არის დაინტერესებული პირი, რომ მოხდეს მტკიცებულებების გაქრობა. ამ მისზნით ის არც ახალი დანაშაულის ჩადენას არ მოერიდება. სწორედ ამიტომ, თუ სამართალდამცავი ორგანოები ვარაუდობენ, რომ ბრალდებულს ხელი მიუწვდება კონკრეტულ მტკიცებულებაზე, მაშინ შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ ის სეეცდება მის განადგურებას, ამიტომ მისი პატიმრობაში დატოვება გამართლებული იქნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი, ბრალდებულის დაპატიმრებას იმ მიზეზით, რომ მან შესაძლოა მტკიცებულებები გაანადგუროს არ მიიჩნევს საჭიროდ.²⁵ მაგრამ ფაქტია რომ მტკიცებულებათა განადგურებით თუ ვინმე შეიძლება იყოს დაინტერესებული ესაა ბრალდებული.

ბრალდებულის დაპატიმრება მის მიერ მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის გამო არ შეიძლება საქმის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე. იმ შემთხვევაში თუ მიმდინარეობს მოქმედებები დანაშაულის გამოვლენის მიზნით, შესაძლებელია მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზემოქმედების საფრთხე რეალურად არსებობდეს. მაგრამ, როდესაც საგამომიებო მოქმედებების დიდი ნაილი უკვე განხორციელებულია ასეთი საფრთხე არ არსებობს.

ამიტომ, სამართალდამცავი ორგანოს მიერ ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოხდეს დასაბუთება და მიეთითოს თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების მოპოვებას შეიძლება შეექმნას საფრთხე.²⁶

მტკიცებულებათა გადამალვის ან და განადგურების საფრთხე უფრო დიდი, თუ საქმე გვაქვს თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთან. მით უმეტეს, თუ ბრალდებულია დანაშაულის მხოლოდ ერთი თანამონაწილე და სხვები უცნობია, ან არ არსებობს მათთვის ბრალის წასაყენებლად შესაბამისი მტკიცებულებები. ასეთ

²⁵ ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის ადკვეთის დონისძიებად გამოყენების პრობლემები, 2003, გვ. 32

²⁶ ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2012 .გვ. 48.

დროს, როგორც წესი ბრალდებული ცდილობს, სწორედ სხვა თანამონაწილეების დახმარებით წაშალოს კვალი, ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს ბრალდებული ყველა ქმედებას და კონტაქტებს.

რაც შეეხება ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რის გამოც ბრალდებული შეიძლება პატიმრობაში დარჩეს.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე მსჯელობისას აუცილებელია:

- ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების შესწავლა,
- მისი წარსულის იმ ფაქტების შესწავლა რაც შესაძლოა შემხებლობაში იყოს საქმესთან,
- მისთვის შერაცხული დანაშაულის ხასიათი,
- მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისადმი და სხვა.

ამასთანავე, თუ სამართალდამცავი ორგანო გადაწყვეტს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მოტივით დატოვოს ბრალდებული პატიმრობაში, მან უნდა მიუთითოს იმ დანაშაულის ხასიათი, რომლის ჩადენასაც ვარაუდობს ბრალდებულის მიერ. ანუ თუ პირი რამდენჯერმე იყო ნასამართლევ ერთი და იგივე დანაშაულისათვის, არსებობს ვარაუდი, რომ ის კვლავ ჩაიდენს იგივე ხასიათის დანაშაულს.²⁷ თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ პირმა სრულიად სხვა ტიპის დანაშაული ჩაიდინოს ან საერთოდ არ ჩაიდინოს დანაშაული. ანუ მხოლოდ ერთი ფაქტორის გათვალისწინებით რაიმეს მტკიცება არ იქნება სწორი, აუცილებელია ფაქტორთა ერთიანობაზე დაყრდნობით მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.²⁸

²⁷ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 273

²⁸ ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი. 2012.გვ. 48.

თავი 2. სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციები და მოვალეობები

2.1. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო

აღკვეთი ღონისძიების შეფარდების და ასევე პროცესის მწარმოებელი ორგანოების უფლებამოსილებები ბუნებრივია დარეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის შესაბამისადაც საქალაქო სასამართლოს მაგისტრანტი მოსამართლე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი გადაწყვიტოს.

რაც შეეხება, სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ შუამდგომლობაზე უფლებამოსილების შემტან პირს, ეს არის პროკურორი. რომელიც „დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა, გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინა მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“²⁹

აღნიშნულის ანალოგიურია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მე 5 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ „დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისფულების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება, უნდა ჰქონდეს მისი საქმე, განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში.“³⁰

შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთი ღონისძიების მიზანშეწონილობის საკითხი. ანუ მან უნდა ახსნას რატომ ითხოვს მაგალითად დაპატიმრებას და არა სხვა უფრო მსუბუქ აღკვეთის ღონისძიების სახეს.

²⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009. მუხლი 196.

³⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია „რომი 1950წლის 4 ნოემბერი“ 1994, მ. 5 <https://matsne.gov.ge>

შუამდგომლობა გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი შუამდგომლობის სასამართლოში შეტანიდან 24 საათის განმავლობაში. ანუ 24 საათის დასრულებისას უკვე უნდა იყოს განხილული შუამდგომლობა და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებული უნდა განთავისუფლდეს.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის საფრთხეები, რაც შესაძლოა უფრო მსუბუქ ზომას მოჰყვეს. რაც რა თქმა უნდა, უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებებით.

2.2 დაპატიმრების ვადები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება პასუხისმგებლობის ზომას არ წარმოადგენს. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია აღნიშნული: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

- ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
- ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;
- გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“³¹

როგორც ჩანს, პატიმრობა გამოიყენება პრევენციული მიზნებით. სწორედ ამიტომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აუცილებელია დიდი ყურადღების გამოვლენა, რათა პატიმრობა კონკრეტული პირისადმი გამოყენებულ არ იქნეს არამართლზომიერად და ამავე დროს სახეზე არ იყოს თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საკითხი.³²

³¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ., 2009 წ. მუხლი 205.

³² ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიებების განსაკუთრებული ფორმა, სხვა სახის აღკვეთი ღონისძიებებისაგან განსხვავებით, გამოიყენება განსაზღვრული ვადით. როგორც სსსკ-ის 205-ე მუხლშია აღნიშნული: „ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ მისი დაკავება არ მომხდარა - ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.“³³

როგორც აღნიშნული მუხლიდან ჩანს, კანონმდებელი სამართალდამცავ ორგანოებს უწესებს ცხრა თვიან ვადას, სწორედ ამ პერიოდში უნდა მოხდეს მტკიცებულებების გამოკვლევა, რომლითაც დადასტურდება, რომ ბრალდებული ნამდვილად დამნაშავეა ან უდანაშაულოა კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში.

აღნიშნული ცხრა თვიანი ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ ამ დროში ვერ მოხერხდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დადასტურება, იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. მნიშვნელობა არ აქვს და პატიმრობის ვადის გაგრძელების მოტივად არ იქნება გამოყენებული დანაშაულის სიმძიმე ან სირთულე. აღსანიშნავია, ისიც რომ ვადის გაგრძელების საფუძვლად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის დამძიმება ან საქმეების გამოყოფა ა სხვა.³⁴

ასევე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია პატიმრობის გამოყენების გადასინჯვის აუცილებლობა:

- სავალდებულო წესი - მოსამართლის ინიციატივით ორ თვიანი ინტერვალით და სისტემატიურად. თუმცა სასამართლო უფლებამოსილია ორ თვიანი ვადა შეამციროს და გადასინჯვა განახორციელოს 40 ან 45 დღეში ერთხელ.

ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 590.

³³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ., 2009 წ. მუხლი 205.

³⁴ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 606.

- გადასინჯვა მოთხოვნისამებრ - მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია გადასინჯვის განხორციელება ორ თვიანი ინტერვალით.

თუ მხარე მოიპოვებს ახალი მტკიცებულებებს, მას შეუძლია ამტკიცოს, რომ ახალი გარემოებების საფუძველზე შესაძლებელია გადაწყვეტილების გადახედვა.

თუმცა, თუ ის მიზეზები კვლავ არსებობს, რის გამოც მოხდა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდება, მაშინ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება ლეგიტიმურია.³⁵

ასევე, აღსანიშნავია, რომ პირის განთავისუფლება ცხრა თვის გასვლის შემდეგ საქმის შეწყვეტას არ გულისხმობს. საქმე შესაძლოა რამდენიმე თვეს და წელსაც კი გაგრძელდეს, მაგრამ ბრალდებული 9 თვის გასვლის შემდეგ აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მეორე ნაწილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლისსამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლისსამართლის საქმის ფარგლებში.“³⁶

ამასთანავე, აღნიშნულია, რომ „საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლისსამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის

³⁵ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 605-607

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/646. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მიღების თარიღი - 15/09/2015.

გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლისსამართლის საქმის ფარგლებში, იურიდიულად ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების სხდომათა დარბაზში მისი გამოქვეყნების მომენტიდან.³⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან შესაბამისი მაგალითი და აღნიშნა, რომ პატიმრობის ვადებთან დაკავშირებული ნორმები ბუნდოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც და მაგალითად მოიყვანა *Šebalj v. Croatia*³⁸ საქმე.

განმცხადებლის მიმართ კანონით დადგენილი პატიმრობის ვადის გასვლის გამოყენებულ იქნა სხვა სისხლისსამართლის საქმესთან დაკავშირებით პატიმრობა.

ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კონვენციასთან შეუსაბამოა. „სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოა პირის მიმართ პატიმრობის კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ვადის გასვლის შემდეგ მისი პატიმრობა სხვა საქმეზე მიღებული დაპატიმრების გადაწყვეტილების საფუძველზე, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო ნორმა ან ცალსახა სასამართლო პრაქტიკა, რომელიც პატიმრობის ზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სხვა საქმეზე ბრალდების ფარგლებში პატიმრობის გამოყენების საფუძველს ადგენდა.“

ასევე აღსანიშნავია ერთ ერთი საქმე სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ „არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/646. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მიღების თარიღი - 15/09/2015.

³⁸ საქმე *Šebalj v. Croatia* (განცხადების ნომერი – 4429/09, 2011 წლის 28 ივნისი)

კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.“ ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი კუმულატიურად ორი წინაპირობის დაკმაყოფილებას მოითხოვს: უნდა არსებობდეს ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა იქნება დადგენილი და ამასთან, გადასასინჯი განაჩენი სწორედ ამ დარღვევას უნდა ეფუძნებოდეს. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, ვინაიდან, სულ მცირე, 2013 წლის 25 სექტემბრიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც დაცვის მხარემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე ი. მ-ის წინასწარი პატიმრობის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა. 2013 წლის 25 სექტემბრისა და 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, მოკლებული იყო დასაბუთებულობას და საკმარისი აღარ იყო მომჩივნის პატიმრობის გახანგრძლივების გასამართლებლად. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ი. მ-ის როგორც დაკავება, ისე თავდაპირველი წინასწარი პატიმრობა შეაფასა, როგორც კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილი დანაწესის შესაბამისი. აქედან გამომდინარე, კასატორის პოზიციას, რომლის მიხედვითაც, ივ. მ-ის დაპატიმრება „დასაწყისშივე პოლიტიკური მიზნებით იყო გაჯერებული“, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება.³⁹

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პატიმრობა ბუნდოვანი და განუსაზღვრელი კანონის საფუძველზე, თითქმის იგივეა რაც თვითნებური პატიმრობა ან პატიმრობა კანონის გარეშე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს. ავტორთა ნაწილის

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, საქმის ნომერი - 20აგ.-2019, თარიღი - 06/11/2019.

აზრით ცხრა თვე საკმარისი დროა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მეორე ნაწილის აზრით კი ეს ვადა 18 თვემდე უნდა გაიზარდოს. ⁴⁰ თუმცა, არსებობს მოსაზრება 9 თვიანი ვადის 6 თვემდე შემცირების შესახებაც.⁴¹

საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ ძალიან ხშირად აღნიშნულ ცხრა თვიან ვადაში საქმეზე არსებული მტკიცებულებების მოპოვება, გამოკვლევა და დრალდების დამტკიცება ძალიან ჭირს. თუმცა მიუხედავად ამისა ვთვლი, რომ 9 თვიანი ვადა სრულიად საკმარისი უნდა იყოს და მისი გაზრდა დაუშვებელია.

2.3 დაპატიმრების, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ეფექტურობის პრობლემა

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცედურის გამოყენებისას ხშირად სერიოზული პრობლემების წინაშე დგას სასამართლოც და საგამომიებო ორგანოებიც. განსაკუთრებით რთული ვითარებაა აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას. ეს გასაგებიცაა, რადგან პატიმრობა ყველაზე მკაცრია აღკვეთის ღონისძიებათა შორის.

პატიმრობის გამოყენებისას რა თქმა უნდა პირს ეზღუდება გარკვეული უფლებების რეალიზება, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ ბრალდებულისათვის პატიმრობის შეთავსება მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე მოხდეს და თუ არსებობს პატიმრობასთან შედარებით ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენების შესაძლებლობა, გამოყენებულ იქნეს ნაკლებად მკაცრი ზომა.

⁴⁰ Петрухин И.Л. Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР. Под ред. Савицкого В.Н. М., 1990, с. 99-100.

⁴¹ Уголовн-процес. кодекс. РСФСР. Комментарии. Санкт-Петербург. 1997. с. 225.

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია პროკურორის მიერ აღკვეთი ღონისძიების მოთხოვნა დაუსაბუთებელი შუამდგომლობის საფუძველზე, ზოგჯერ სასამართლოც თანხმდება და არაკანონიერად ხდება პატიმრობის შეფარდება.

ანუ მხოლოდ იმის მითითება, რომ ბრალდებული არ თანამშრომლობს საგამოძიებო უწყებებთან და სასამართლოსთან ან არ იძლევა ჩვენებას, არ შეიძლება რომ მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძველი გახდეს. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება დარწმუნებული სამართალდემცავი ორგანო, რომ ბრალდებული თავს არ აარიდებს გამოძიებას, ამიტომ როცა ამ მოტივით ითხოვენ პატიმრობის გამოყენებას ბრალდებულისადმი, აუცილებელია კარგი დასაბუთება. აღნიშნულთან დაკავშირებით ევრო სასამართლომაც განმარტა სხვადასხვა გადაწყვეტილებებში, რომ მხოლოდ მიმალვის ან თავის არიდების გამო, ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება არ შეიძლება.⁴²

აუცილებელია, რომ ყველა კონკრეტულ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი გადაწყდეს ინდივიდუალურად და კანონმდებლობის სრული დაცვით. მხოლოდ იმის მითითება, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს არ კმარა და ვერ აკმაყოფილებს ვერც საქართველოს კანონმდებლობას და ვერც ევროპული სასამართლოს რეკომენდაციებს.⁴³

რაც შეეხება ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდების შემდეგ გარემოებას - ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს - ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანად იქნეს დასაბუთებული.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე რეალური უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ: „საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-

⁴² ევროსასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე „მატცნეტერი ავსტრიის წინააღმდეგ“.

⁴³ რედ. ჯ. გაზოკიძე. მ. მამნიაშვილი. ირ. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. მესამე გამოცემა. თბ., გამომც., „იურისტების სამყარო“, 2015. გვ. 243-245

ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.⁴⁴

მიუხედავად აღნიშნული განმარტებისა, ზოგჯერ სასამართლო ისე უფარდებს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას, რომ შუამდგომლობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი საქმე: დაცვის მხარემ გაასაჩივრა ბრალდებულისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება. ბრალდებული დასკავებული იყო სსს კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, რის საფუძველზეც მას ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შექმნა - შენახვას ედავებოდნენ.

დაპატიმრების დღესვე, პროკურორმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, რომ მისთვის შეეფარდებინათ პატიმრობა. სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა მაშინვე დააკმაყოფილა. სწორედ ეს განჩინება გაასაჩივრა დაცვის მხარემ და მოითხოვა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახეთ გამოყენებულ ყოფილიყო არა პატიმრობა, არამედ გირაო. ამასთანავე საჩივარში უთითებდნენ, რომ პატიმრობის

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი. საქმის ნომერი - 23-696აპ.-19, თარიღი - 06/02/2020.

შეფარდება არაკანონიერად მოხდა, რადგან არ არსებობდა გარემოებები, რას შესაძლოა პატიმრობის შეფარდებისას ყოფილიყო გათვალისწინებული. ამას ხსნიდნენ შემდეგი გარემოებებით:

- ბრალდებულმა აღიარა და მოინანია თავისი ქმედება,
- ბრალდებულმა დაკავებისთანავე ითანამშრომლა საგამომიებო ორგანოებთან,
- ბრალდებულს თავი არ აურიდება გამოძიებისათვის და მოთხოვნისთანავე გამოცხადდა სასამართლოში,
- ბრალდებული ხელს ვერ შეუშლიდა საგამომიებო მოქმედებას, რადგან საგამომიებო მოქმედებები უკვე დასრულებული იყო,
- ბრალდებულს მიმალვა არ უცდია.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ეს დაცვის მხარის საჩივარი დააკმაყოფილა და პატიმრობა გირაოთი შეცვალა.⁴⁵

სამწუხაროდ სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია მსგავსი უკანონო გადაწყვეტილებები. პრობლემებია როგორც საგამომიებო ორგანოებში, ასევე სასამართლოში.

მოიპოვება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. რადგანაც აღკვეთის ღონისძიების საკითხი ყოველთვის პრობლემურია. ხშირ შემთხვევაში იმის გამო რომ საქმე სწორადაა იქნეს გამოძიებული და დახურული ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებენ როგორც საგამომიებო დანაყოფები ასევე სასამართლო.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ვადებთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად: „ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა“.⁴⁶ ვადებთან დაკავშირებით

⁴⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება. =1-გ/1282. გადამოწმებულია 29.05.2019

⁴⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ასევე აღსანიშნავია შემდეგი მუხლი: „დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.“⁴⁷

როგორც აღნიშნული მუხლებიდან ჩანს კანონმდებელი აწესებს ვადას და სწორედ ამ ვადაში უნდა მოხდეს შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, როგორც საგამომიებო ორგანოების, ასევე სასამართლოს მიერ. ხშირად პრაქტიკაში პროკურორი მითითებულ ვადაში ასრულებს შესაბამის საპროცესო მოქმედებებს, მაგრამ ვერ ასწრებს სასამართლოსთვის მიმართვას. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს, რომ სამუშაო საათები დასრულებულია და შეუძლებელია მოსამართლისათვის მიმართვა. დილით შეტანისას კი იმდენად ცოტა დრო აქვს სასამართლოს საქმის განსახილველად, რომ იმ დროში შეუძლებელია საქმის სრულყოფილი შესწავლა. დროის პრობლემა შეიძლება შეიქმნას ბრალდებულთა სიმრავლის, ან საქმის სხვა გარემოებების გამო.

მნიშვნელოვანი საკითხია აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევები. სსსკ-ის 206-ე მუხლით არსებობს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საშუალება, უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახით. ამ შემთხვევაშიც შუამდგომლობაში ზუსტად უნდა მიეთითოს, თუ რის საფუძველზე ითხოვს მხარე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.

აღნიშნული საკითხი თითქოს მარტივად განხორციელებადია პრაქტიკაში, მაგრამ ამასთან დაკავშირებითაც რეალური პრობლემები არსებობს, კერძოდ ის რომ მოსამართლემ რომელმაც პირველად მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, მანაც რეალურად კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ როდესაც მხარე ითხოვს შემსუბუქებას, მოსამართლემ შესაძლოა არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა ახალი გარემოების არარსებობის გამო.

მაგრამ, დაცვის მხარეს სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში,

⁴⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 196 მუხლი.

სადაც შეიძლება ბრალდებულის პიროვნებაზე წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია და სწორედ ამ ინფორმაციამ გახადოს შესაძლებელი გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხის წარმოშობის საფუძვლიანობა.

ასეთ შემთხვევაში წარმოიშვება საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა, რა უნდა ექნას მოსამართლემ, თვითონ გააუქმოს გადაწყვეტილება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება თუ უკან დაუბრუნოს ხელახლა განსახილველად.

ამ შემთხვევაში, საკითხი შეიძლება შემდეგნაირად გადაწყდეს: თუ სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე დარწმუნდება, რომ წარმოდგენილი ახალი გარემოების საფუძველზე შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების საფუძვლიანობის გადამოწმება, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ უნდა მიიღოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი გადაწყვეტილება: „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 9 ივლისის განაჩენით დ. ს-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. გაუქმდა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივარი და მიაჩნია, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად. კერძოდ, საქმის შესწავლის შედეგად არ იკვეთება გარემოება, რის გამოც მოცემულ საქმეს არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამართლის განვითარების ან მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; კასატორი არ უთითებს სამართლებრივ პრობლემაზე, რომელიც საჭიროებს საკასაციო სასამართლოს განმარტებას;

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; საჩივრის განხილვის შედეგად არ არის მოსალოდნელი მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; არ იკვეთება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; კასატორი არ არის არასრულწლოვანი.

სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ნათლად მიუთითა იმ მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც დ. ს-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. შესაბამისად თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.⁴⁸

ასევე საინტერესოა შემდეგი საქმეც, სადაც ბრალდებული განთავისუფლდა პატიმრობიდან: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 6 იანვრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის - მ. ფ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა შეიცვალა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით - გირაოთი. გირაოს თანხა განისაზღვრა 50000 ლარით. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი - მ. ფ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან და სასამართლო სხდომის დარბაზიდან.⁴⁹

გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკაში შედარებით ბევრი პრობლემა არსებობს, რაც დახვეწას და სრულყოფას საჭიროებს.

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება, აქმის ნომერი - 23-26აპ.-20, თარიღი - 28/04/2020

⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება, აქმის ნომერი - 23-26აპ.-20, თარიღი - 28/04/2020

თავი 3. პატიმრობის გამოყენება საზღვარგარეთის სისხლის სამართალში

3.1 რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, პრობლემები და ხარვეზები

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაკავებას, რომლის

გამოყენება ობიექტურად არის განპირობებული დანაშაულის გამჟღავნების და გამოძიების ამოცანებით. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ დღეს ეს იძულებითი ღონისძიება ერთ – ერთი ყველაზე გამოყენებული პრაქტიკაში. 1998-2004 წლებში რუსეთის ფედერაციაში დაკავებულთა რიცხვი ყოველწლიურად 400-500 ათასს მიაღწია, ხოლო 2005 წელს მათმა რიცხვმა 624,218 შემთხვევა შეადგინა. ზოგადად, აღძრული სისხლის სამართლის საქმეების თითქმის 20%-ის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახედ დაპატიმრებაა გამოყენებული. ამავე დროს, აშკარაა ტენდენცია დაკავების გამოყენების გაზრდისკენ.

რუსეთის კანონმდებლობით დაკავებული პირის სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე და დაკავების ოქმის შედგენამდე განსაზღვრული არ არის, შესაბამისად ოქმის შედგენამდე დაკავების დრო პრაქტიკულად არ არის გათვალისწინებული დაკავების პერიოდის გაანგარიშებისას. ამასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოები იძულებულნი არიან შეავსონ იურიდიული ვაკუუმი იმ მეთოდებით და საშუალებებით, რომლებიც შემუშავებულია ადგილობრივი პრაქტიკით და რომლებიც, ყველაზე ხშირად, უზრუნველყოფენ სისხლის სამართლებრივი საპროცესო მოქმედებების ეფექტურობას და აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს ინდივიდის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.⁵⁰

სერიოზული შეუსაბამობები, საკამათო და წინააღმდეგობრივი შეხედულების არსებობა რუსეთის კანონმდებლობაში ჩვენს მიერ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიზეზად სისხლის სამართლის საპროცესო დაკავების პროცედურის შემსრულებელი ნორმების სხვადასხვა გზით ინტერპრეტაციის საშუალებას ასახელებენ.

სწორედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოა, რომ:⁵¹

⁵⁰ Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. СПб., 1996. Т. 2. С. 330

⁵¹ Информационно-аналитическая записка о состоянии законности в стране и работе органов прокуратуры в 2005 году / Под общей ред. А.Я. Сухарева. - М.: НИИ проблем укрепления законности и правопорядка, Издательство «Щит-М», - С. 76.

- თითქმის ყველა მეხუთე შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახედ დაპატიმრება (18%) უმიზეზოდ იქნა გამოყენებული;
- ექვმიტანილის უფლებები არ იყო განმარტებული შემთხვევების 75% -ში;
- დაპატიმრებების 30% -მა დაარღვია ექვმიტანილის დაუყოვნებლად დაკითხვის მოთხოვნა და დაარღვია 24-საათიანი ვადა, პროკურორისთვის დაკავების მოხსენების გაგზავნისთვის,
- დაკავებულთა 60% -მდე გაათავისუფლეს დაკითხვისა და გამოძიების ორგანოების მხრიდან დაკავების ორდერის გარეშე.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სამართლებრივი რეგულირების ეფექტურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საუბარია ისეთ მექანიზმზე, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად და ეფექტურად დადგინდეს ჭეშმარიტება და დამნაშავეების მიერ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მეორეს მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

აღკვეთის ღონისძიების მთავარი ღონისძიებაა დაპატიმრება, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად.⁵²

სისხლისსამართლებრივად დასჯადი აქტის განხორციელება აიძულებს სახელმწიფოს, კერძოდ სამართალდამცავ ორგანოების და თანამდებობის პირების, დამნაშავე პირების მიმართ გამოიყენონ საპროცესო სავალდებულო საშუალებები და მეთოდები.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო იძულების გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცდილობენ პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას.⁵³

⁵² Зинатуллин 3.3. Уголовно-процессуальное принуждение и его эффективность. – Казань, 1981.6.

⁵³ Уголовно-процессуальное право Российской Федерации / Под ред. П.А. Лупинской. – М.: Юристъ, 2003. 288.

3.2 აღკვეთის ღონისძიების გახანგრძლივება, შეცვლა და გაუქმება რუსეთის კანონმდებლობით

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით რუსეთის კანონმდებლობა იცნობს ექვმიტანილის ინსტიტუტს. ამიტომ ან ნაწილში გამოყენებულ იქნება, როგორც ტერმინი ექვმიტანილი, ასევე ბრალდებული.

ზოგადად აუცილებელია, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული სასამართლოს, პროკურორის და საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელი პირების შეცდომები. რათა მათი შეცდომის გამო, არ დაირღვეს კონკრეტული პირის უფლებები.

ზოგადი წესის თანახმად, დანაშაულის გამოძიებისას დაკავება არ შეიძლება აღმატებოდეს ორი თვეს, პირის ფაქტზე დაკავების დღიდან.⁵⁴

”პატიმრობის ვადა ასევე მოიცავს დროს:

1. როდესაც პირი დააკავეს, როგორც ექვმიტანილი;
2. შინა პატიმრობის ვადას.
3. იძულებითი ყოფნის ვადას სამედიცინო ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სასამართლოს გადაწყვეტილებით;

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცვალა , ცვლილებებით შესაძლებელი გახდა ბრალდებულის დაკავების ვადის გახანგრძლივება გამონაკლისის სახით:

1. ბრალდებულის და მისი დამცველის ადვოკატის სისხლის სამართლის საქმის მასალების გასაცნობად საჭირო პერიოდისათვის, სისხლის სამართლის საქმის პროკურორისათვის საბრალდებო დასკვნამდე,

⁵⁴ О теоретическом обосновании сложных уголовно-процессуальных форм см Якимович Ю. К., Лленский А В., 2010
Трубникова Т.В. Дифференциация уголовного процесса / под ред. М К Свиридова Томск: Изд-воТом. ун-та. 2011. 13.

2. სასამართლოს მიერ სავალდებულო სამედიცინო ღონისძიების გამოყენების განსახილველად საჭირო პერიოდის დროით,

3. პროკურორისა და სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად,

4. იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროკურორი, ისევე როგორც სასამართლო, მიიღებენ გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

5. პროკურორის მოთხოვნით სასამართლოში წარდგენილი წინასასამართლო პროცესში, არა უგვიანეს 7 დღისა, შინაპატიმრობის ვადის გასვლამდე პატიმრობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 30 დღემდე.

ამავდროულად, წინასწარი გამოძიების განმავლობაში პატიმრობის ვადა გამოითვლება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის პატიმრობაში მოყვანის მომენტიდან.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლი ადგენს, რომ პროკურორმა, მას შემდეგ რაც დაადგინა, რომ „შინაპატიმრობის ვადა ან პატიმრობის ვადა საკმარისი არ არის გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობის საფუძველზე ვადის გაგრძელების შესახებ.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის ახალი ვერსია ითვალისწინებს პროკურორის ვალდებულებას, რომ თუ არსებობს სასამართლოში შუამდგომლობის აღძვრის საფუძველი, მიმართოს სასამართლოს ვადის გახანგრძლივების შესახებ.

”ზოგჯერ შეუძლებელია წინასწარი გამოძიების დასრულება განსაზღვრულ ვადაში, ასეთ ვითარებაში პატიმრობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პატიმრობის პერიოდის გახანგრძლივება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

გამომძიებელი შუამდგომლობის საფუძველზე მოითხოვს განსაზღვრული ვადის ექვს თვემდე გახანგრძლივებას, ვადის გაგრძელებაზე თანხმობას იძლევა

ზემდგომი პროკურორი, საოლქო სასამართლოს მოსამართლე ან სათანადო დონის სამხედრო სასამართლო .⁵⁵

ვადის ზემდგომი გახანგრძლივება შეიძლება განხორციელდეს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირებთან მიმართებაში, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განსაკუთრებული სირთულის შემთხვევებში და თუ არსებობს საფუძვლები გამომძიებლის მოთხოვნით იმავე სასამართლოს მოსამართლის მიერ ამგვარი ზომების არჩევის შესახებ.

”12 თვის განმავლობაში, პატიმრობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში ბრალდებულ პირთა მიმართ, რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, რეგიონალური ან რეგიონალური სასამართლოს, ფედერალური საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური რეგიონის სასამართლოს, ავტონომიური რეგიონის სასამართლოს ან სამხედროების მიერ.

შესაბამისი დონის სასამართლო გამომძიებლის მოთხოვნით, რომელიც წარდგენილია რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან დაკავშირებული საგამომძიებო კომიტეტის თავმჯდომარის თანხმობით ან შესაბამისი ფედერალური აღმასრულებელი ორგანოს საგამომძიებო ორგანოს ხელმძღვანელის (შესაბამისი ფედერალური აღმასრულებელი ორგანოს მქონე) თანხმობით, დასაშვებია ვადის გაგრძელება 18 თვემდე.⁵⁶

ზოგადად, შუამდგომლობას პატიმრობის გაგრძელების შესახებ სასამართლო განიხილავს ბრალდებულის მონაწილეობით. შუამდგომლობის განხილვა ბრალდებულის არყოფნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი იმყოფება სტაციონარულ ფსიქიატრიულ ექსპერტიზაში, ან სხვა გარემოების ზემოქმედების ქვეშ, რაც ხელს უშლის მის მონაწილეობას პროცესში,

⁵⁵ 2 Рыжаков А.П. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации / А.П. Рыжаков. – М.: Норма, 2011. 781.

⁵⁶ 3 Рыжаков А.П. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации / А.П. Рыжаков. – М.: Норма, 2011. 784.

თუმცა უნდა არსებობდეს ამ გარემოების არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება.

მოსამართლე ვალდებულია გამოსცეს ბრძანება საკითხის განხილვის შესახებ პატიმრობის ვადის გაგრძელება ბრალდებულის არყოფნისას, სადაც უნდა აღინიშნოს, თუ რატომაა შეუძლებელია ბრალდებულის ყოფნა.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული არ იმყოფება პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ განცხადების განხილვისას, მის დამცველის მონაწილეობა მოსმენაში აუცილებელია.

მოსამართლე, განცხადების მიღების დღიდან ხუთი დღის განმავლობაში, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ - გაგრძელებამდე ბრალდებულს და მის დამცველს უნდა გაეცნოთ სისხლის სამართლის მასალები.
- გამომძიებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ბრალდებულის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლში, საუბარია "ბრალდებულის დამცველის" სავალდებულო მონაწილეობაზე. ძალიან საინტერესო და ვფიქრობ მისასალმებელია, რომ დამცველის მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება გამომძიებელს (დაკითხვას და ა.შ.) და სასამართლოს, მიუხედავად წინასწარი გამომძიებლის სიმარტივის ან სირთულისა.⁵⁷

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის კომენტირებული გადაწყვეტილების მე -18 პუნქტი განმარტავს, თუ როგორ უნდა გახანგრძლივონ სასამართლოები პატიმრობის ვადა, რა პირობებში და რა უნდა გააკეთონ, თუ წინასწარი გამომძიებლის ორგანოები არღვევენ სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოში განცხადების შეტანის პროცედურას. მასში აღნიშნულია, რომ: "რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო

⁵⁷ О некоторых вопросах применения судами уголовно-процессуальных норм, регламентирующих производство в суде присяжных: Постановление Пленума Верховного суда РФ от 20 декабря 1994 года № 9 / Комментарий к постановлениям пленумов высших судов РФ (РСФСР) по уголовным делам. Сост. и автор комментария А. П. Рыжаков. — М.: Изд. «Норма», 2013. 215.

კოდექსის 109-ე მუხლის მე -2 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელება ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს საფუძველი აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

ასეთი პერიოდის გახანგრძლივება ექვს თვეზე მეტ ხანს შესაძლებელია, თუ ერთდროულად ორი პირობა არ არსებობს:

1. პირის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში,
2. სისხლის სამართლის საქმის განსაკუთრებული სირთულე.

ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გაამართლოს თავისი დასკვნები გადაწყვეტილებაში.

თუ შუამდგომლობს პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოზე წარდგენა ერთზე მეტჯერ და იმავე საგამოძიებო მოქმედებების შესრულების აუცილებლობის საფუძველზე, როგორც ეს მითითებულია გამომძიებლის (დაკითხვის) მიერ წინა შუამდგომლობებში, უნდა დადგინდეს, რა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა პირველ ჯერზე შესაბამისი მოქმედების განხორციელება. ამ შემთხვევაში, "იგივე" საგამოძიებო მოქმედებების ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ იმავე ტიპის საგამოძიებო მოქმედებები, არამედ მათ იგივე ამოცანების გადაჭრა. მაგალითად, იგივე ადამიანი შეიძლება დაკითხვაზე არაერთხელ იქნეს დაბარებული და სხვა.

ამრიგად, როგორც ჩანს საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით რუსეთის კანონმდებლობით შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების სახის პატიმრობის ვადის გახანგრძლივება თორმეტ თვემდე და ზოგ შემთხვევაში თვრამეტ თვემდეც კი. რაც ადამიანის უფლებები უპირობო დარღვევად მიმაჩნია.

დასკვნა

აღკვეთი ღონისძიების შეფარდების და ასევე პროცესის მწარმოებელი ორგანოების უფლებამოსილებები ბუნებრივია დარეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის შესაბამისადაც საქალაქო სასამართლოს მოსამართლე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი გადაწყვიტოს. აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს პროკურორი.

პროკურორმა ბრალდებულის დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა, გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს უნდა წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ შუამდგომლობა

დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინა მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

სწორედ აღნიშნული ვადის დაცვის მოტივით შესაძლებელია, რომ პროკურორს გამორჩეს ფაქტები ან რაიმე გარემოება დატოვოს უყურადღებოდ და ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახედ არამართლზომიერად მოითხოვოს პატიმრობის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე უნდა აღმოჩნდეს მოწოდების სიმალლეზე და დაუსაბუთებელი შუამდგომლობის ან არარსებული საფრთხის გამო, ბრალდებული პატიმრობაში არ დატოვოს. თუმა, თავის მხრივ მოსამართლემ შეზღუდულია დროში, ამიტომ მხოლოდ დროის ფაქტორის გამოც შესაძლებელია შეცდომის დაშვება.

ზოგადად სისხლის სამართლის კანონმდებლობით შესაბამისი პერიოდის განსაზღვრა მხოლოდ ბრალდებულის დაცვის კანონიერ მიზანს ემსახურება, მაგრამ ამავდროულად ქმნის უკანონო გადაწყვეტილების მიღების საფრთხეს.

ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა ზემოთ განხილული რამდენიმე, საქმე, რა დროსაც პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების სახეთ პატიმრობა მოითხოვა დაუსაბუთებელი შუამდგომლობით და მოსამართლემ დააკმაყოფილა. მაშინ როდესაც კანონმდებელი მოითხოვს შუამდგომლობის დასაბუთებას.

შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთი ღონისძიების მიზანშეწონილობის საკითხი. ანუ მან უნდა ახსნას რატომ ითხოვს მაგალითად დაპატიმრებას და არა სხვა უფრო მსუბუქ აღკვეთის ღონისძიების სახეს.

ამასთანავე, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის საფრთხეები, რაც შესაძლოა აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ზომას მოჰყვეს. რაც რა თქმა უნდა, უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება პასუხისმგებლობის ზომას არ წარმოადგენს. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია აღნიშნული: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის

ლონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“

როგორც ჩანს, პატიმრობა გამოიყენება პრევენციული მიზნებით. სწორედ ამიტომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აუცილებელია დიდი ყურადღების გამოვლენა, რათა პატიმრობა კონკრეტული პირისადმი გამოყენებულ არ იქნეს არამართლზომიერად და ამავე დროს სახეზე არ იყოს თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საკითხი.

ზომით საუბარი იყო პროკურორისა და სასამართლოსათვის გათვალისწინებულ შესაბამის ვადაზე. გარდა იმ ვადისა კანონმდებელი სამართალდამცავ ორგანოებს უწესებს ცხრა თვიან ვადას, სწორედ ამ პერიოდში უნდა მოხდეს მტკიცებულებების გამოკვლევა, რომლითაც დადასტურდება, რომ ბრალდებული ნამდვილად დამნაშავეა ან უდანაშაულოა კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში.

აღნიშნული ცხრა თვიანი ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ ამ დროში ვერ მოხერხდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დადასტურება, იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია პატიმრობის გამოყენების გადასინჯვის აუცილებლობა, რასაც ახორციელებს მოსამართლე სავლდებულო წესით და ასევე მხარის შუამდგომლობით.

ახალი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში მას შეუძლია ამტკიცოს, რომ შესაძლებელია გადაწყვეტილების გადახედვა. ამ შემთხვევაში კი შესაძლებელია რომ მისთვის აღკვეთის სახედ შეფარდებული პატიმრობა შეიცვალოს შინა პატიმრობით ან გირაოს გადახდით.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცედურის გამოყენებისას ხშირად სერიოზული პრობლემების წინაშე დგას სასამართლოც და საგამომიებო ორგანოებიც. პატიმრობის გამოყენებისას რა თქმა უნდა პირს ეზღუდება გარკვეული უფლებების რეალიზება, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ ბრალდებულისათვის პატიმრობის შეთავსება მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე მოხდეს და თუ არსებობს პატიმრობასთან შედარებით ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენების შესაძლებლობა, გამოყენებულ იქნეს ნაკლებად მკაცრი ზომა.

აუცილებელია, რომ ყველა კონკრეტულ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი გადაწყდეს ინდივიდუალურად და კანონმდებლობის სრული დაცვით. მხოლოდ იმის მითითება, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს არ კმარა და ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და ვერც ევროპული სასამართლოს რეკომენდაციებს.

გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკაში შედარებით ბევრი პრობლემა არსებობს, რაც დახვეწას და სრულყოფას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 198 ნაწილი 3.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>
2. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003,
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

4. Stogmuller v. Austria. საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა. ნ. მჭედლიძე, თბ., 2017,
5. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ., 2017,
6. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010,
7. ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2012.
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტ. თბ., 2015,
9. ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, 2003,
10. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია „რომი 1950წლის 4 ნოემბერი“ 1994, მ. 5 <https://matsne.gov.ge>
11. ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015,
12. რედ. ჯ. გახოკიძე. მ. მამნიაშვილი. ირ. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. მესამე გამოცემა. თბ., გამომც., „იურისტების სამყარო“, 2015

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Петрухин И.Л. Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР. Под ред. Савицкого В.Н. М., 1990,

2. Уголовн-процес. кодекс. РСФСР. Комментарии. Санкт-Петербург. 1997.
3. Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. СПб., 1996. Т. 2. С. 330
4. Информационно-аналитическая записка о состоянии законности в стране и работе органов прокуратуры в 2005 году / Под общей ред. А.Я. Сухарева. - М.: НИИ проблем укрепления законности и правопорядка, Издательство «Щит-М», -
5. Зинатуллин З.З. Уголовно-процессуальное принуждение и его эффективность. – Казань, 1981. С. 6.
6. Уголовно-процессуальное право Российской Федерации / Под ред. П.А. Лупинской. – М.: Юристъ, 2003.
7. О теоретическом обосновании сложных уголовно-процессуальных форм см Якимович Ю. К., Ленский А В.,
8. Трубникова Т.В. Дифференциация уголовного процесса / под ред. М К Свиридова Томск: Изд-воТом. ун-та. 2001
9. Рыжаков А.П. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации / А.П. Рыжаков. – М.: Норма, 2011
10. О некоторых вопросах применения судами уголовно-процессуальных норм, регламентирующих производство в суде присяжных: Постановление Пленума Верховного суда РФ от 20 декабря 1994 года № 9 / /Комментарий к постановлениям пленумов верховных судов РФ (РСФСР) по уголовным делам. Сост. и автор
11. комментария А. П. Рыжаков. — М.: Изд. «Норма», 2001.

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 1/გ566-17 განჩინება.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 სექტემბრის N 10/დ-535/18 განჩინება.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/646. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ , მიღების თარიღი - 15/09/2015.
4. საქმე Šebalj v. Croatia (განცხადების ნომერი – 4429/09, 2011 წლის 28 ივნისი) ევროსასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე „მატცნეტერი ავსტრიის წინააღმდეგ“.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი. საქმის ნომერი - 2კ-696აპ.-19, თარიღი - 06/02/2020.
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება. =1-გ/1282.
7. Buzadji v. Republic of Moldova - 23755/07; 05.07.2016.
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid"}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)
8. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება, საქმის ნომერი - 2კ-26აპ.-20, თარიღი - 28/04/2020